

ხადას ხეობის კულტურული მემკვიდრეობის

პოტენციალი

სოფიო სულაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის მენეჯერის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ვაჩიშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

სოფიო სულაშვილი

24.06.2016 “

აბსტრაქტისტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ხადას ხეობის კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის კვლევა და მისი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა. ასევე გამოკვლევა და გაანალიზება იმ ფაქტორებისა (პრობლემებისა) რომლებიც ხელს უშლის ამ პოტენციალის ათვისებას. ამ მიზნით კვლევაში გაანალიზებულია სახელოვნებათმცოდნეო და ისტორიოგრაფიული ლიტერატურა. გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები და წარმოდგენილია მათი შედეგები, რომლებიც ააშკარავებს ხეობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ დემოგრაფიულ, სოციალურ, ეკონომიკურ პრობლემებს. კვლევის შედეგად ასევე გამოვიტანე დასკვნა, რომ გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, ხადას ხეობის კულტურული მემკვიდრეობა დიდი სარგებლობის მომტანი შეიძლება გახდეს, როგორც ხეობის მოსახლეობისთვის, ასევე ქვეყნისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანისთვისაც.

ვიმედოვნებ ჩემი სამაგისტრო ნაშრომის/კვლევის გარკვეულწილად მივალწიე მიზანს, მაქსიმალურად წარმომეჩინა ხადას ხეობის პოტენციალი და საზოგადოებისთვის მეჩვენებინა მისი გააზრებულად და სასარგებლოდ გამოყენების გზები, რაც მისი შენარჩუნების, აღდგენის და ამასთან ერთად გაზიარების/პოპულარიზაციის გზითაა შესაძლებელი. კვლევა ასევე წარმოადგენს ერთგვარ საფუძველს, ბიძგს ამ კუთხით სხვა კვლევების წარმოებისა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ხადას ხეობა, კულტურული მემკვიდრეობა, ხადას ხეობის პოტენციალი.

Abstract

The aim of this study is to research potential of cultural inheritance of Khada valley and to increase awareness among society. It also aims to define and analyze hindering factors (problems) in maintaining this potential. For this purpose: - we will analyze data from art historical literature. -Will use quantitative and qualitative research methods and explore their outcomes, that will explicit factors, related to demographical, social and economical problems of popularization and maintaining cultural inheritance. Based on the research, we can remark as a conclusion, that khada valley's cultural inheritance can provide useful possibilities for valley population, for country, and for any other stakeholder, if used with mind. We hope that our study will accomplish it is goals in exploring Khada valley's potential to society and to highlight it's clever and useful ways of application. As research shows it is possible with it is preservation, restoration and popularization. As for further usage of results, the mentioned research will be valid material for other studies in this field.

Key Words: Khada valley, cultural heritage, potential of Khada valley.

მადლობა

გაწეული დახმარებისთვის და თანადგომისათვის დიდ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს ნიკოლოზ ვაჩეიშვილს, კვლევაში ჩართულ ადამიანებს: დიმიტრი თუმანიშვილს, ირინა ელიზბარაშვილს, თემო ჯოჯუას, მანანა სურამელაშვილს, კახა ხიმშიაშვილს, ასევე ხადას ხეობის მოსახლეობას და ყოველ ადამიანს, ვინც გულისხმიერება გამოიჩინა და თუნდაც მცირე წვლილი შეიტანა ამ სამაგისტრო კვლევის შექმნაში.